

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-15


შპს „ბათუმენი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გადაანგარიშებული*				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	285,762	361,716	350,782
სულ გრძელვადიანი აქტივები		285,762	361,716	350,782
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4	34,902,069	24,110,000	13,716,228
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,395,588	400,618	364,093
ფული და ფულის ექვივალენტები	6	1,104,130	2,064,725	358,135
სულ მიმდინარე აქტივები		37,401,788	26,575,343	14,438,455
სულ აქტივები		37,687,550	26,937,059	14,789,237
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი			-	-
გაუნაწილებელი მოგება		8,446,431	7,757,634	7,150,768
სულ კაპიტალი		8,446,431	7,757,634	7,150,768
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	7	5,047,124	5,827,637	2,295,684
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან			-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება			-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,047,124	5,827,637	2,295,684
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები			-	-
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან			-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	24,193,995	13,351,788	5,342,785
სულ მიმდინარე ვალდებულებები		24,193,995	13,351,788	5,342,785
სულ ვალდებულებები		29,241,118	19,179,425	7,638,47
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		37,687,550	26,937,059	14,789,237

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



როინ ღუმბაძე

30 სექტემბერი, 2021
ბათუმი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბათმშენი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შემოსავალი	9	1,842,254	1,689,679
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	10	(829,014)	(760,355)
საერთო მოგება/(ზარალი)		1,013,240	929,324
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(324,443)	(322,458)
სხვა შემოსავალი		-	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		688,797	606,866
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		-	-
არასაოპერაციო ხარჯები		-	-
არასაოპერაციო შემოსავლები		-	-
მოგება დაბეგვრამდე		688,797	606,866
მოგების გადასახადი	12	-	-
გადავადებული გადასახადის სარგებელი		-	-
წლის წმინდა მოგება		688,797	606,866

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

h. დემეტრაძე



როინ ღუმბაძე

30 სექტემბერი, 2021
ბათუმი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „კომპანიის სახელი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

□	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	7,757,634	7,757,634
მოგება წლის განმავლობაში	688,797	688,797
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	8,446,431	8,446,431

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

h. დუმბაძე



როინ ღუმბაძე

30 სექტემბერი, 2021
ბათუმი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბათმშენი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ბათმშენი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2011 წლის 20 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფიზიკური პირი, როინ დუმბაძე წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ ბათუმში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, გორგილაძის ქ., N68ა, ბ.16

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2020 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2020 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

შპს „ბათუმენი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის დეკემბერი

საქართველოს საგადასახადო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური მდგომარეობა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
მანქანა დანადგარები	20
სამშენებლო მასალები	5

შპს „ბათუმენი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის დეკემბერი

ავეჯი და ინვენტარი

5

სატრანსპორტო საშუალებები

8

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

შპს „ბათუმენი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის დეკემბერი

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

შპს „ბათუმენი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის დეკემბერი

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

შპს „ბათუმენი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2020 წლის დეკემბერი

3. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	სულ
1 იანვარი 2020	338,080	21,019	2,617	361,716
შემოსვლა	0	0	0	10936
გასვლა	75,954		0	0
31 დეკემბერი 2020	262,126	21,019	2,617	285,762
წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2020	338,080	21,019	2,617	361,716
31 დეკემბერი 2020	262,126	21,019	2,617	285,762

შპს „ბათუმენი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2020 წლის დეკემბერი

4. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-20	31-დეკ-19
დაუმთავრებელი წარმოება	34,902,068	23,920,500
ნედლეული და მასალები		
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	-	189,500
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	34,902,068	24,110,000

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო მოთხოვნები	-	-
გაცემული ავანსები	1,395,588	400,618
სხვა მოთხოვნები	-	-
თანხები დაკავშირებული მხარეებისაგან	-	-
გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,395,588	400,618

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-20	31-დეკ-19
თანხა ბანკში	1,104,130	2,064,725
თანხა სალაროში	-	-
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,104,130	2,064,725

7. სესხები

ორგანიზაცია	ვალუტა	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
სს თიბისი ბანკი	GEL	5,047,123	5,827,637
სულ სესხები		5,047,123	5,827,637

შპს „ბათუმენი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მიღებული ავანსები	24,193,994	13,351,788
სავაჭრო ვალდებულებები	-	-
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	-	-
სახელფასო ვალდებულებები	-	-
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	-
		13,351,788
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	24,193,994	13,351,788

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

9. შემოსავალი

შემოსავალი	2020	2019
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	1,842,254	1,689,679
სხვა შემოსავალი	-	-
სულ შემოსავალი	1,842,254	1,689,679

10. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2020	2019
მასალის ხარჯი	829,013	464,573
ხელფასი		
მომსახურებები		295,782
სულ თვითღირებულება	829,013	760,355

შპს „ბათუმენი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
ხელფასები	324,443	91,882
მომსახურების ხარჯები	-	75,176
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	324,443	167,058

12. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან შევა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორცაა წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ბათუმენი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.